ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1837367

ნომერი: AR1297729

თარიღი : 28.03.2015

გაცემის თარიღი : 15.04.2015

გაცნობის თარიღი : 16.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხევძმარის ქუჩაზე N30 სახლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- სოხუმი, ორჯონიკიძის ქ. 73 ბ.4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა შეტანის თაობაზე

მოქ. ვასილ ჯალაღონიამ 28.03.2015 წ. #AR1297729 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის მიერ 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით ქ.

თბილისში, ხევძმარის ქუჩაზე N30 სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.17.001.008; ფართობი: 607 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
ზემოაღნიშნულ პირობებით მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი გახდა 5.0 მ. განაშენიანების რეგულირების ხაზის გათვალისწინებით, რომელიც დაფიქსირებული იყო საკადასტრო გეგმაზე.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, სადაც განაშენიანების რეგულირების ხაზი არსებული საზოგადოებრივი–საქმიანი ზონის პერპენდიკულარულად არის დატანილი; #01.11.17.001.008 საკადასტრო ერთეულის წინ არსებობს მიწის რესურსი რომელიც ყვება საზოგადოებრივ ზონა 2 (სსზ–2)–ში, რომელიც შესაძლებელია გასხვისდეს, რა შემთხვევაშიც ავტომობილების განთავსება შესაძლებელია მოხდეს საკადასტრო საზღვრის (წითელი ხაზის) მიღმა;
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ დაფიქსირდეს ჩანაწერი შემდეგი რედაქტირებით: – დაცულ იქნეს საკადასტრო გეგმაზე დასმული განაშენიანების რეგულიების ხაზი დანართში მოცემული ნახაზის მიხედვით (იხ. დანართი);
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში კერძოდ: სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)–ის ნაცვლად დაფიქსირდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.03.2015 წ. №1783813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: თუ ავტომობილების განთავსება მოხდება საკადასტრო საზღვის (წითელი ხაზის) მიღმა, პროექტის შეთანხმების სტადიაზე საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით, ან მოხდეს ტერიტორიის შესყიდვა;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.